საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5396
19/09/2022

5396-21-2-202209191315

შპს „ამბ ჯგუფს“
მის: ნაძალადევის რაიონი, თიანეთის ქ. №8, ბ. 12
ელ. ფოსტა: ambgroup2015@gmail.com

სააგენტომ განიხილა თქვენი №4118 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოძისის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

როგორც №21/2417 და №21/2535 წერილებით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის შესახებ;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოძისში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის №132-13222160124 წერილი, სადაც მითითებულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია უარყოფითი პოზიცია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობაზე. წერილის მიხედვით, სოფ. ოძისი არის საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფელი, საზღვრამდე ნახევარი კილომეტრით დაშორებული და მიეკუთვნება საშიშ ზონას, ასევე, მდ. ქსნის ტერიტორიაზე მოქმედებს მრავალი კარიერი, რომლებიც აზიანებენ მდინარის კალაპოტს, აბინძურებენ გარემო პირობებს და მოსახლეობის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებში მისასვლელ გზებს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია წინააღმდეგია სოფ. ოძისის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს ნავთობპროდუქტების საცავი. დანართის სახით, გიგზავნით სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტაციას და გაცნობებთ, რომ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის საკითხის დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო